დამტკიცებულია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს XLV

სხდომის მიერ. 18/10/2023

ადამიანის უფლებათა რეალიზებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაძლიერების სტრატეგია 2023-2025

"ძლიერი მუნიციპალიტეტი - დაცული საზოგადოება"

1. შესავალი

ეს დოკუმენტი არის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (შემდგომში ,,ასოციაცია“) განაცხადი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის გაძლიერების შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. იგი განსაზღვრავს ასოციაციის ხედვასა და მუნიციპალიტეტების როლს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის ლოკალიზების სფეროში.

სტრატეგიის დოკუმენტი ემყარება ასოციაციის ფასეულობათა სისტემას, რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებათა უზენაესობას და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ამ უფლებათა სრული რეალიზაციის მიღწევაში. სტრატეგიის დოკუმენტი გამომდინარეობს გლობალური ქარტიიდან "**ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის დღის წესრიგი**" და მისი ამოცანაა წარმართოს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მუშაობა მის წევრ მუნიციპალიტეტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს მუნიციპალური მართვის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მიიღეს უფლებამოსილებები ცალკეული ჯგუფების უფლებების დაცვისა და სოციალური მომსახურების ორგანიზების სფეროში, მუნიციპალიტეტები, ასევე, აქტიურად მუშაობენ დისკრიმინაციის აღმოფხვრის, გენდერული თანასწორობის, ბავშვის უფლებათა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის სფეროში. შესაბამისად, ამ სტრაგეგიის მიზანია მუნიციპალიტეტების საქმიანობა მოაქციოს ერთიან სისტემაში, გახადოს ის შესაბამისი საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან და უზრუნველყოს ინსტიტუციური დიალოგი მუნიციპალიტეტებსა და სახალხო დამცველს შორის.

ეს დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აპარატის მიერ, ევროპის საბჭოს კონგრესის მხარდაჭერით, ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის "**მონაწილეობითი დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვა ადგილობრივ დონეზე საქართველოში**" ფარგლებში. მის შექმნაში ასევე ჩართული იყო ასოციაციის წევრებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი და ევროპის საბჭოს კონგრესის პროექტის ექსპერტები. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ევროპის საბჭოს კონგრესს და ავსტრიის განვითარების სააგენტოს გაწეული დახმარებისთვის.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზების საჭიროება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, აგრეთვე საერთაშორისო - უნივერსალური (მაგ. გაერო) და რეგიონალური (მაგ. ევროსაბჭო) ხასიათის და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები მკაფიოდ განსაზღვრავენ, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვალდებულება შეეხება საჯარო მმართველობის ყველა დონეს. ცხადია, ცენტრალური ხელისუფლების როლი შეუცვლელია ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფაში, თუმცა, იმავდროულად, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი დონეები ასევე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ადამიანის უფლებათა რეალიზაციის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის შექმნაში. ასეთი სისტემის ამოცანაა ადამიანის უფლებათა რელიზაცია არა მხოლოდ საკანონმდებლო და სამართლებრივ სფეროში, არამედ საჯარო მმართველობის, საზოგადოებრივი სიკეთის და კომუნალური მომსახურების მიწოდების ყველა ეტაპზე. შესაბამისად, **ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაცია ნიშნავს ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდას კონკრეტული სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვისა და მათი მეტი ჩართულობისთვის, მუნიციპალური მომსახურების მორგებას კონკრეტული ადამიანის უფლებებსა და საჭიროებებზე.**

ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებების ლოკალიზაცია პირდაპირაა დაკავშირებული გაეროს მდგრადი განვითრების მიზნებთან და გამომდინარეობს **"მონაწილეობაზე დაფუძნებული, უსაფრთხო, სიცოცხლისუნარიანი და მგრადი ქალაქები და დასახლებები"** მე-11 მიმართულებიდან. მდგრადი განვითარების მიზნების ეს მიმართულება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ადმიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (Human rights-based approach, HRBA) გამოყენებას გულისხმობს, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და თანასწორ წვდომას მუნიციპალურ მოსახურებაზე, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებების დაფუძნებას ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტურ პრინციპებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია (#39/7) ავალდებულებს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს ხელი შეუწყოს ისეთი ინსტრუმენტების შექმნას, რომელიც გაზრდის კოორდინაციას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის, რათა მუნიციპალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები და შემუშავებული პროგრამები ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, რაც მოიცავს სამოქალაქო განათლებას, მდგრადი განვითრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას მუნიციპალური ხელისუფლების მიერ შექმნილ საზოგადოებრივ სიკეთეებზე. ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომა უზრუნველყოფს ქალაქებსა და დასახლებებში თანაბარი შესაძლებლობების, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და ღირსეული ცხოვრების პირობებისათვის სათანადო გარანტიების შექმნას.

როგორც წესი, ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე ფოკუსირებულია მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვაზე, ადგილობრივი პოლიტიკის კონცენტრირებაზე პიროვნების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. მისი ამოცანაა შეიქმნას ისეთი ადმინისტრაციული კულტურა, სადაც გადაწყვეტილებების მიღების დროს მაქსიმალურად უზრუნველყოფილია საზოგადოების ყველა სეგმენტის მონაწილეობა და ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინება. პირდაპირი დემოკრატია ადამიანის უფლებების ლოკალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. ადგილობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბების ინკლუზიური პროცესი, მოქალაქეთა მაღალი ნდობა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიმართ, სამართლიანი და თანაბარი წვდომა საზოგადოებრივ სიკეთეებზე მოქალაქეებს შორის ამკვიდრებს მიკუთვნებულობის განცდას საკუთარი დასახლების მიმართ და შედეგად უზრუნველყოფილია მდგრადი ადგილობრივი განვითარება.

2001 წელს ქალაქ ბარსელონას ინიციატივით შეიქმნა სპეციალური ქსელი "ქალაქები ადამიანის უფლებებისთვის“, რომელიც არის მსოფლიოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გაერთიანების (UCLG) ნაწილი. იმავე წელს ქალაქ ბარსელონას ინიციატივით შეიქმნა ევროპული ქარტია "ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ", რომელიც მოგვიანებით გადამუშავდა და ეწოდა "გლობალური ქარტია - ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის დღის წესრიგი". ეს ქარტია არის ერთგვარი სტანდარტი ევროპის კავშირის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის სფეროში. დოკუმენტის მიხედვით ადამიანის უფლებათა ლოკალიზაცია ეფუძნება 6 ძირითად პრინციპს, ესენია:

- ***თანაბარი უფლებები და დისკრიმინაციის დაუშვებლობა*** - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მმართველობის პროცესში ყველა ჯგუფის უფლებების დაცვა და თანაბარი მონაწილეობა.
- ***მუნიციპალური სამსახურების ეფექტურობა*** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა იმუშაონ იმისთვის, რომ მუნიციპალური სამსახურები მორგებული იყოს ადგილობრივი საზოგადოების ყველა ჯგუფის საჭიროებებზე და იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფები.
- ***გამჭვირვალობა*** - ადგილობრივი საზოგადოების ყოველ წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია ადილობრივი ხელისუფლების საქმიანობასა და გადაწყვეტილებების შესახებ. ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მმართველობით პროცესებში, სპეციალური ხელშემწყობი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების წევრებისთვის.
- ***სუბსიდიარობა*** - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ყველა ის უფლებამოსილება და რესურსი, რაც აუცილებელია ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვისთვის.
- ***სოლიდარობა*** - ეს გულისხმობს მუნიციპალიტეტთაშორის რესურსების განაწილების ეფექტიანი და სამართლიანი სისტემის (ფინანსური გამოთანაბრების მექანიზმი)

შექმნას ისევე, როგორც რესურსულ მხარდაჭერას მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზაციების გაძლიერებისთვის.

- ***გამოცდილების გაზიარება და ქსელური მუშაობა*** - გამოცდილების გაზიარება მუნიციპალიტეტებს შორის, ერთობლივი პროგრამების განხორციელება და ინტერმუნიციპალური ორგანიზაციების შექმნა ადამიანის უფლებათა რეალიზაციის მხარდაჭერისთვის.

ევროპული ქარტია ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ფოკუსირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან გამომდინარე უფლებების დაცვაზე და იმავდროულად, იგი პრიორიტეტს ანიჭებს იმ უფლებებს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან. ევროპული ქარტიის ამოცანაა მუნიციპალურ დონეზე ხელი შეუწყოს ადამიანის შემდეგი უფლებების რეალიზაციას:

- ***უფლება საქალაქო/მუნიციპალურ თვითმმართველობაზე*** - ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ადგილობრივ მოსახლეობას, რათა მათ სრულად და ეფექტიანად განახორციელონ მათი კონსტიტუციური უფლება ადგილობრივ თვითმმართველობაზე. ამ მიზნით ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული საარჩევნო და პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტები.
- ***პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის უფლება*** -ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შექმნან ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მოქალაქეებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში და, რაც მთავარია, ჰქონდეთ გავლენა მიღებულ გადაწყვეტილებებზე.
- ***უფლება სოციალურ დაცვასა და მომსახურებაზე*** - მოქალაქეებს, რომელთაც ეს სჭირდებათ, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მაქსიმალურად ეფექტიანად მიიღონ ისეთი სოციალური დაცვა და მომსახურება, რაც ყველაზე უკეთ პასუხობს მათ საჭიროებებს.
- ***უფლება განათლებაზე*** - ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ განათლების სისტემის გამართული ფუნქციონირება და ხელმისაწვდომობა, როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ასევე ზრდასრულთა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.
- ***უფლება ღირსეული სამუშაოს ქონაზე*** - სადაც ეს დაშვებულია ეროვნული კანონმდებლობით ადგილობრივმა ხელისუფლებამ მონიტორინგი უნდა გაუწიოს დასაქმებულთა შრომის პირობებს, ისევე როგორც, მხარი დაუჭიროს კერძო სექტორს სამუშაო ადგილების შექმნისთვის.
- ***უფლება კულტურულ აქტივობაზე*** - მუნიციპალურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მუზეუმების, თეატრების, შემოქმედებითი კოლექტივების, ადგილობრივი ფოლკლორის და კულტურული თავისებურებების დაცვა და პოპულარიზაცია.

- ***უფლება დასვენებასა და გართობაზე*** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სპორტული ინფრასტრუქტურის, სკვერების და მწვანე არეალების, საჯარო სივრცეების შექმნა და განვითარება, რათა მოსახლეობის დასახლება იყოს მიმზიდველი საცხოვრებელი ადგილი.
- ***უფლება საცხოვრისზე*** - ქალაქის მოსახლეობას ხელი უნდა მიუწვდებოდეს გამართულ და უსაფრთხო საცხოვრისზე; უსახლკარო მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუნიციპალური თავშესაფრით.
- ***მომხმარებლის უფლებების დაცვა*** - სადაც ეს დაშვებულია ეროვნული კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტმა კონტროლი უნდა გაუწიოს საკვების უსაფრთხოებასა და მომხმარებლის უფლების დაცვას.
- ***უფლება უსაფრთხო გარემოზე*** - მუნიციპალიტეტებმა აქტიური როლი უნდა შეასრულონ გარემოს დაცვაში, ჰაერის მონიტორინგისა და გამონაბოლქვის შემცირების, კლიმატის ცვლილებების ადაპტაციის ღონისძიებების გატარებაში. წყლის რესურსების დაცვასა და ეფექტიანად გამოყენებაში. ნიადაგის დაცვასა და მყარი ნარჩენების მართვაში.
- ***უფლება ჰარმონიულ და მდგრად ურბანულ/ადგილობრივ განვითარებაზე*** - მოქალაქეებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქალაქების და დასახლებების სივრცითი და ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენაში. მიაღწიონ საკუთარი დასახლებების ისტორიული, კულტურული და არქიტექტურული იდენტობის შენარჩუნებასა და განვითარებას.
- ***უფლება ინფორმაციის მიღებაზე*** - მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მოქალაქეების სრული და დროული წვდომა საჯარო ინფორმაციაზე; ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობა გამოიყენონ ელექტრონული ტექნოლოგიები ინფორმაციის მისაღებად. მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ მოქალაქის პერსონალური მონაცემების ჯეროვანი დაცვა და კანონიერი გამოყენება.
- ***კულტურის, ენისა და რელიგიის თავისუფლების უფლება*** - მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ჯგუფს გამოიყენოს და განავითაროს საკუთარი კულტურა და ენა. თავისუფლად მიჰყვეს საკუთარ აღმსარებლობას და ამისთვის ჰქონდეს სათანადო პირობები.
- ***კერძო და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება*** - მუნიციპალიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს იმუშაონ პოზიტიური მშობლობის ინტიტუტის დამკვიდრებისთვის. პატივი სცენ ადამიანის პირად სივრცეს და ურთიერთობებს.
- ***მოწყვლადი ჯგუფების უფლება დაცვასა და თანასწორობაზე*** - მუნიციპალიტეტებმა უნდა შექმნან პირობები, რათა მოწყვლად ჯგუფებს ჰქონდეთ საშუალება ეფექტურად დაიცვან საკუთარი კანონიერი ინტერესები, იქონიონ გავლენა გადაწყვეტილებებზე და თანასწორად ჰქონდეთ წვდომა მუნიციპალურ მომსახურებასა და ქალაქში შექმნილ

საზოგადოებრივ სიკეთეებზე. სპეციალური საჭიროების მქონე მოქალაქეები მუნიციპალიტეტებიდან უნდა იღებდნენ მიზნობრივ დახმარებასა და მომსახურებას საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.

დღეისთვის რამდენიმე ასეული ქალაქი მიერთებულია ამ დღის წესრიგს და აღებული აქვთ კონკრეტული ვალდებულებები მისი რეალიზაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქარტიას არ აქვს სავალდებულო ხასიათი, იგი არის ძირითადი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ლოკალიზაციის სფეროში და მისი ცალკეული პირობები მრავალი მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება. ამ ქარტიის განხორციელებაში შექმნილი კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისთვის შექმნილია ქალაქების ქსელი, რომელიც ევროპის ათეულობით ქალაქს აერთიანებს.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მუნიციპალური მომსახურების, სივრცითი დაგეგმვისა და ურბანული განვითარების, მოქალაქეთა მონაწილეობისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი აქვთ. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პირდაპირი უფლებამისილებები მუნიციპალიტეტებმა მიიღეს შემდეგი კანონებით: საქართველოს კანონი "ბავშვის უფლებების კოდექსი", საქართველოს კანონი "შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების შესახებ", საქართველოს კანონი "სოციალური მუშაობის შესახებ" და საქართველოს კანონი "ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ".

დღეს საქართველოს 52 მუნიციპალიტეტში შექმნილია ბავშვის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის განყოფილება. ყველა მუნიციპალიტეტს აქვს მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამები, რომლებიც მოიცავს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამას, მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ დახმარებას და მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობას. 61 მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭოები, ხოლო 54 მუნიციპალიტეტში მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების დაცვის საბჭო. მუნიციპალიტეტები აქტიურად თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების ინტერესების დაცვისთვის.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსახლეობის ყველა ჯგუფის თანასწორ მონაწილეობას ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საფუძველზე საქართველოს 49 მუნიციპალიტეტში აქტიურად გამოიყენება დასახლების საერთო კრების ინსტრუმენტი, 61 თვითმმართველ ერთეულში შექმნილია მერის საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭო, 7 მუნიციპალიტეტში აქტიურად იყენებენ ონლაინ პეტიციების წარდგენის ინსტრუმენტს.

2020-2025 დეცენტრალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტის მთავარი მიმართულებებია ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებათა გაზრდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა. აქედან გამოდინარე, ცხადია,

რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ახლო მომავალში მიიღებენ დამატებით უფლებამოსილებებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სოციალური დაცვა და მომსახურება, უფლებების დაცვა და მათი შელახვის პრევენცია და მიზნობრივ ჯგუფებზე მავნე ზეგავლენის პრევენცია. ამასთან, აუცილებელია მუნიციპალიტეტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა რეალიზების და ამ უფლებებზე მორგებული მუნიციპალური მომსახურების მიწოდებაში. თავისთავად ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა მხოლოდ ეროვნულ დონეზე ვერასდროს იქნება ეფექტიანი თუ არ მოხდა მისი ლოკალიზაცია, ანუ თუ არ გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლების როლი ადამიანის უფლებათა რეალიზების და დაცვის საქმეში. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი მხოლოდ მაშინ არ უნდა ჩაირთოს როცა ეს უფლება ილახება, არამედ ადამიანისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი გარემო, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება და საჯარო მომსახურება მიეწოდება მისი უფლებების სრული დაცვით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკს. ეს თავისთავად მოიცავს ადამიანის უფლებებზე მორგებულ მუნიციპალურ მომსახურებას, უსაფრთხო და სუფთა გარემოს, მაღალ, თანაბარ და სამართლიან ხელმისაწვდომობას კომუნალურ მომსახურებაზე, მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას მუნიციპალური მომსახურების დაგეგმვის პროცესში.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტების როლის მნიშვნელობაზე მიუთითებენ როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო ორგანოების და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების მიერ (UPR, CEDAW, CERD, CRPD) საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციები ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები, სადაც შეფასებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა და მოცემულია რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა სისტემის გამართული მუშაობისთვის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაცია საჭიროებს ძლიერ ინსტიტუციურ ბაზას,რაც უწინარესად ნიშნავს ადგილზე შესაბამისი უფლებამოსილებებით, რესურსებითა და ცოდნით აღჭურვილი ადგილობრივი ხელისუფლების არსებობას. საქართველოში მუნიციპალიტეტები ჯერ კიდევ საჭიროებენ შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვას, ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას და, რაც არანაკლებ მთავარია, ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას. შესაბამისად, ამ დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის სტრატეგია ადამიანის უფლებათა ლოკალიზების მიღწევისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გაძლიერებისთვის ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის აღსრულებისთვის.

3. ასოციაციის ხედვა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქტიურ როლს ასრულებენ ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა რეალიზაციისთვის, რაც გამოიხატება ადამიანის საჭიროებებზე

მორგებული კომუნალური მომსახურების და მუნიციპალური მმართველობის მიწოდებით, ანტიდისკრიმინაციული პრინციპების განუხრელი დაცვით. ასევე, განსაკუთრებულ ძალისხმევას დებენ ისეთი ადგილობრივი მექანიზმების დანერგვაში, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ჯგუფის თანაბარ და შედეგიან მონაწილეობას საკუთარი ქალაქისა თუ თემის მართვაში. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია აქტიურად ეხმარება საქართველოს მუნიციპალიტეტებს ამ ამოცანების შესრულებაში.

4. სტრატეგიის მიზანი

სტრატეგიის მიზანია 2025 წლამდე ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციისთვის მიღწეული იყოს შემდეგი შედეგები:

1) მუნიციპალიტეტებს აქვთ ინფორმაცია და ცოდნა იმის შესახებ თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებათა დაცვა ადგილობრივ დონეზე, შექმნილია ცხადი წარმოდგენა თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური მმართველობა და შეგდეგად, გაზრდილია მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები (capacity);

2) საქართველოს მუნიციპალიტეტები იცნობენ ევროპულ ქარტიას "ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ"აღიარებენ და ითვალისწინებენ მის პრინციპებს;

3) მუნიციპალიტეტებში შემუშავებულია თანასწორობაზე, ანტიდისკრიმინაციასა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ემყარება შესაბამისი ევროპული ქარტიის პრინციპებს და მიმდინარეობს მისი განხორცილება;

4) მუნიციპალიტეტებში გაზრდილია ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ბიუჯეტირების მეთოდით დაგეგმვის, ასევე, გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;

5) შექმნილია მუნიციპალიტეტსა და სახალხო დამცველს შორის საკონსულტაციო ეროვნული მექანიზმი, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების როლის გაზრდას ადამიანის უფლებათა დაცვაში.

6) საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას აქვს შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობა და საექსპერტო რესურსები, რათა აქტიური დახმარება გაუწიოს წევრ მუნიციპალიტეტებს ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციის პროცესში.

5. სტრატეგიის ამოცანები

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია აქტიურად ითანამშორმლებს წევრ მუნიციპალიტეტებთან, საერთაშორისო დონორებთან, საქართველოს სახალხო დამცველთან,

საქართველოს პარლამენტთან და საქართველოს მთავრობასთან შემდეგი ამოცანების განსახორციელებლად:

მიზანი 1. მუნიციპალიტეტებს აქვთ ინფორმაცია და ცოდნა იმის შესახებ თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებათა დაცვა ადგილობრივ დონეზე და შექმნილია ცხადი წარმოდგენა თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური მმართველობა;

<u>**ამოცანა 1.1.**</u> ტრენინგების ორგანიზება საკრებულოს წევრებისთვის - ტრენინგები მონაწილეებს მიაწოდებს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, სხვა საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული საკანონმდებლო ბაზის (მათ შორის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022 – 2030 და მისი სამოქმედო გეგმა) შესახებ. ტრენინგების მონაწილეები შეირჩევიან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეული პირებისგან, მათ მიერ გამოვლენილი მონაწილეობის ნების საფუძველზე. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ტრეინინგებზე ხელმისაწვდომობისას გათვალისწინებული იქნება ენობრივი ბარიერის საკითხი.

<u>**ამოცანა 1.2**</u>. კვლევა ადგილობირვი თვითმმართველობის მიერ მიწოდებული მომსახურების ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირების შესახებ - ამ კვლევების ამოცანა იქნება შეაფასოს თუ რამდენად არიან მუნიციპალური სამსახურები ორიენტირებულნი ადამიანის უფლებათა დაცვასა და ანტიდისკრიმინაციული ზომების გატარებაზე, დაადგინოს ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები და ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები ნეგატიური ფაქტორების აღმოფხვრისთვის. კვლევა ჩატარდება საერთაშორისო პარტნიორებთან, საქართველოს სახალხო დამცველთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

<u>**ამოცანა 1.3.**</u> სემინარები მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირებისთვის - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ექსპერტები მოამზადებენ გზამკვლევს "ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისები", სადაც განმარტებული იქნება თუ რას ნიშნავს, ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზება და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისები. საქართველოს 10 რეგიონში ჩატარდება 1 დღიანი სემინარი მერების, ვიცე-მერების და საკრებულოს თავმჯდომარეებისთვის, სადაც მოხდება გზამკვლევის წარდგენა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისთვის ინფორმაციის მიწოდება მასში განხილულ საკითხებზე. აქვე მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე საუბარს.

მიზანი 2. საქართველოს მუნიციპალიტეტები იცნობენ ევროპულ ქარტიას ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და აღიარებენ მის პრინციპებს.

<u>**ამოცანა 2.1**</u>. ქალაქის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული ქარტიის განმარტებითი ანგარიში - საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ექსპერტები, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, მოამზადებენ ქარტიის განმარტებით ანგარიშს, რომელიც გასაგები ენით ახსნის ამ ქარტიის ძირითად პრინციპებსა და

მათი რეალიზაციის გზებს. ეს ანგარიში დაიბეჭდება და გავრცელდება ფართო საზოგადოებაში და ხელმისაწვდომი იქნება ასოციაციის ონლაინ რესურსცენტრზე.

<u>**ამოცანა 2.2**</u>. ქარტიის პოპულარიზაცია საქართველოს მუნიციპალიტეტებში - საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ მხარესა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარდება სემინარები მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენელების მონაწილეობით. ამ შეხვედრაზე წარმოდენილი იქნება პრეზენტაცია ქარტიის შესახებ, მისი განმარტებითი ანგარიში და ამ ქარტიის პრინციპების განხორციელების გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნის მუნიციპალიტეტების მაგალითზე. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ჩართულნი იქნებიან განხილვებში ქარტიაში მითითებული უფლებების (თანასწორობა, მობილობა, ჯანდაცვა, ხელმისაწვდომობა და სხვა..) განმარტებისა და ინტერპრეტაციის ნაწილში ექსპერტული ცოდნის გაზიარების მიზნით.

<u>**ამოცანა 2.3**</u>. საქართველოს მუნიციპალიტეტების ქარტიაზე მიერთების ხელშეწყობა - ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც გამოთქვამენ მზაობას მიურთდნენ ქარტიის ტექსტს მიიღებენ მხარდაჭერას ასოციაციის აპარატისგან, რაც გამოხატება ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების (UCLG) საერთაშორისო სამდივნოსთან კომუნიკაციასა და სამართლებრივ დახმარებაში. ასევე, ხელს შეუწყობენ შესაბამისი ნორმატული აქტების მომზადებაში, ხელმოწერის ცერემონიის ორგანიზებასა და მედია პოპულარიზაციის უზრუნველყოფაში.

მიზანი 3. მუნიციპალიტეტებში შემუშავებულია ანტიდისკრიმინაციული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური მმართველობის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ემყარება შესაბამისი ევროპული ქარტიის პრინციპებს და მიმდინარეობს მისი განხორციელება;

<u>**ამოცანა 3.1**</u>. ასოციაცია იმუშავებს წევრ მუნიციპალიტეტებთან, რათა ადგილობრივ დონეზე შეიქმნას/გაუმჯობესდეს (განახლდეს) ანტიდისკრიმინაციული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური მმართველობის პოლიტიკა. ამ მიზნით, პირველ რიგში, შეირჩევა ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც შეურთდნენ შესაბამის ევროპულ ქარტიას და შემდეგ ის მუნიციპალტეტები, რომლებიც ოფიციალურად დაადასტურებენ ქარტიაზე მიერთების სურვილს. ასოციაციის დახმარება გულისხმობს დოკუმენტის პროექტის შემუშავების საექსპერტო უზრუნველყოფას, მის თარგმნასა და გაგზავნას საერთაშორისო სამდივნოში (UCLG) ვალიდაციისთვის და მიღებული რეკომენდაციების ასახვას ტექსტში.

<u>**ამოცანა 3.2.**</u> ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართვა სტრატეგიის/პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის განხილვაში - საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, მიმღებ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით მოაწყობს პოლიტიკის დოკუმენტის საჯარო განხილვას. მასში მონაწილეობას მიიღებენ სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები, საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა დაცვის

საბჭოები. ამ განხილვებზე შეირჩევა დაინტერესებულ აქტივისტთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის შექმნაში. დოკუმენტის ბოლო ვარიანტი გამოტანილი იქნება საჯარო განხილვებზე.

<u>**ამოცანა 3.3**</u>. აღნიშნული პოლიტიკის აღსრულებისა და მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, იმუშავებს იმ მუნიციპალიტეტებთან, რომლებიც დაამტკიცებენ აღნიშნული სტრატეგიის/პოლიტიკის დოკუმენტს, რათა შეიქმნას პოლიტიკის აღსრულების და მონიტორინგის ეფექტიანი, გამჭვირვალე და მონაწილეობაზე დაფუძნებული მექანიზმი.

მიზანი 4. მუნიციპალიტეტებში გაზრდილია ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვა გენდერული ბიუჯეტირების მეთოდით;

<u>**ამოცანა 4.1.**</u> ასოციაციის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სტრატეგიის განხორციელება - 2014 წლიდან ასოციაცია აქტიურად მუშაობს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოს მუნიციპალიტეტებში, 2021 წელს დამტკიცებული ასოციაციის გენდერული თანასწორობის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი აქცენტებია გაკეთებული ქალთა უფლებების დაცვასა და მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე. ამ სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა გენდერული ბიუჯეტირების პრაქტიკის დამკვიდრება საქართველოს მუნიციპალიტეტებში. ამ მიმართულებით ასოციაცია, გაეროს ქალთა პროგრამასთან თანამშრომლობით, გააგრძელებს მუშაობას საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტთან.

<u>**ამოცანა 4.2.**</u> მუშაობა შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნისთვის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამული ბიუჯეტების შედგენის მეთოდოლოგია არ იცნობს გეენდერული ბიუჯეტირების ცნებას, შესაბამისად, ამ მიდგომის გამოყენებით მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ძალზე უმნიშვნელო ნაწილის დაგეგმვა შეუძლიათ. ასოციაცია იმუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რათა ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის მეთოდოლოგიაში შევიდეს გენდერული ბიუჯეტირების ცნება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის იმ ხარჯების წილს ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელიც ამ მიდგომის გამოყენებითაა დაგეგმილი. ამ ამოცანის შესრულებისთვის ასოციაცია აქტიურად ითანამშრომლებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა შესწავლილი და გაანალიზებული იქნას საერთაშორისო გამოცდილება და ამის საფუძველზე მომზადდეს და ფინანსთა სამინისტროს შესთავაზოს ცვლილებები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში.

მიზანი 5. შექმნილია მუნიციპალიტეტსა და სახალხო დამცველს შორის ეროვნული საკონსულტაციო მექანიზმი, რაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვაში მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერებას.

<u>**ამოცანა 5.1.**</u> მუნიციპალიტეტების აქტიური თანამშრომლობა სახალხო დამცველის აპარატთან მათ ანგარიშებში წარმოდგენილ პრობლემურ საკითხებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით - როგორც წესი, სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები

(საპარლამენტო, სპეციალური) შეიცავს შეფასებებს მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, რაც ხშირად აზრთა სხვადასხვაობის საგანია. იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტების აზრი/პოზიცია იყოს მიწოდებული და შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული ამ ანგარიშებში აუცილებელია, ამ ანგარიშების მომზადების ან შემდგომ ეტაპზე რეკომენდაციების განხილვის მიზნით შეიქმნას სახალხო დამცველთან საკითხების განხილვის პრაქტიკა. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია იმუშავებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, რათა მოხდეს ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რათა მუნიციპალიტეტებსა და სახალხო დამცველის აპარატს შორის წარიმართოს წინასწარი კონსულტაციები ან ანგარიშების გამოქვეყნების შემდგომი განხილვები რეგიონების მიხედვით. ამ შეხვედრის მიზანი არ გახლავთ სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ ანგარიშში ცვლილებების შეტანა, არამედ მოსაზრებათა გაცვლა მხარეებს შორის, რათა ანგარიში დაფუძნებული იყოს მოსაზრებათა სრულ სპექტრზე და ასევე ხელი შეეწყოს კონკრეტულ ფაქტებზე/მოვლენებზე აზრების გაცვლასა და ხედვების დაახლოებას. ეს პროცესი აგრეთვე ხელს შეწუყობს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის რელევანტური რეკომენდაციების შემუშავების და მათი აღსრულების პროცესს.

<u>ამოცანა 5.2.</u> მუნიციპალიტეტსა და სახალხო დამცველს შორის საკონსულტაციო ეროვნული მექანიზმის შექმნა - ევროპის საბჭოს კონგრესის და სხვა საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია იმუშავებს, რათა სახალხო დამცველსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას შორის შეიქმნას ეროვნული საკონსულტაციო პლატფორმა, რომელშიც შევლენ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები და სახალხო დამცველის მიერ დანიშნული წარმომადგენლები. ეროვნული პლატფორმის ამოცანაა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე სახალხო დამცველსა და მუნიციპალიტეტებს შორის დიალოგის წარმართვა.

მიზანი 6. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციას აქვს შესაბამისი ინსტიტუცური მოწყობა და საექსპერტო რესურსები, რათა აქტიური დახმარება გაუწიოს წევრ მუნიციპალიტეტებს ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციის პროცესში.

<u>ამოცანა 6.1</u>. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ 2022 წლის ნოემბერში შექმნა "ადამიანის უფლებათა რეალიზებაში მუნიციპალიტეტის როლის გაძლიერების სტრატეგიის" დოკუმენტის სამუშაო ჯუფი. ამ ჯგუფმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სტრატეგიის შექმნაში. დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ სამუშაო ჯგუფი გარდაიქმნება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტთა საქმიანობის საკოორდინაციო კომიტეტად და ზედამხედველობას გაუწევს, როგორც ამ სტრატეგიის განხორციელებას, ასევე შესაბამისი ევროპული ქარტიის პრინციპების განხორცილებას და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტებში განხორციელებულ პროექტებს.

<u>ამოცანა 6.2.</u> ასოციაციის შესაძლებლობების გაზრდა. ევროპის საბჭოს კონგრესის დახმარებით 2023 წელს ასოციაციამ მუნიციპალიტეტებისთვის შექმნა ონლაინ რესურსცენტრი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასოციაცია გააგრძელებს ამ რესურსის შენახვას და განვითარებას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია ორგანიზებას გაუწევს ტრენინგებს ასოციაციის თანამშრომლებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასოციაციის აპარატში გამოიყოფა ორი იურიდიული პროფილის თანამშრომელი, რომელთაც მიენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საკონტაქტო პირთა სტატუსი.

<u>ამოცანა 6.3.</u> საქართველოს მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამების საკონტაქტო ჯგუფის შექმნა. საქართველოს მუნიციპალიტეტებში მრავალი პროექტი და ინიციატივა ხორციელდება, მაგრამ ძალზე ხშირად, თავად მუნიციპალიტეტს არ აქვს ინფორმაცია ამ ინიციატივების შესახებ. ერთ-ერთი ფაქტორი, რაც განაპირობებს ამ რეალობას გახლავთ ის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უჭირთ განსაზღვრა, თუ რომელ სამსახურს დაეკონტაქტონ, ან ამ კონტაქტს აქვს ფრაგმენტული სახე. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის დონეზე განისაზღვროს მუნიციპალური მოხელე - საკონტაქტო პირი, ვინც ფოკუსირებული იქნება მუნიციპალიტეტში ადამიანის უფლებათა საკითხებზე. ასოციაცია იმუშავებს წევრ მუნიციპალიტეტებთან, რათა შეიქნას მერთან/მერიასთან არსებული ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოს, ახალგაზრდების საბჭოს, შშმ პირთა საბჭოს და მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლებით, ასევე განისაზღვრება საბჭოს საკონტქტო პირი. ასოციაცია უზრუნველყოფს ამ ჯგუფის წევრთა მომზადებას, შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფას და მათ საექსპერტო მხარდაჭერას.

6. ასოციაციის პროგრამები

სტრატეგიის ამოცანების შესასრულებლად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია შექმნის 4 მრავალწლიან პროგრამას, რომელთა ფარგლებში, დონორებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, მოხდება ამ სტრატეგიის ამოცანების განხორციელება. ეს პროგრამებია:

ქალაქებში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ქარტიის პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის პროგრამა - ეს პროგრამა იმუშავებს ასოციაციის წევრ მუნიციპალიტეტებთან, რათა მოხდეს შესაბამისი ევროპული ქარტიის პოპულარიზაცია და საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერთება ამ ქარტიასთან. პროგრამის ქვეშ თავს მოიყრის სტრატეგიის ამოცანები 2.1, 2.2 და 2.3

გენდერული თანასწორობის პროგრამა - პროგრამის ქვეშ გაერთიანდება ასოციაციის მიერ განხორციელებული აქტივობები გენდერული თანასწორობის სფეროში. სტრატეგიის მეორე მიზნის ქვეშ არსებული ამოცანები უშუალოდ გამომდინარეობს ასოციაციის გენდერული თანასწორობის სტრატეგიიდან და კონცენტრირებული იქნება დოკუმენტით გათვალისწინებული 4.1, 4.2. ამოცანების შესრულებაზე

ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციის ეროვნული საკონსულტაციო მექანიზმის ხელშეწყობის პროგრამა - ეს პროგრამა ხელს შეუწყობს სახალხო დამცველსა და მუნიციპალიტეტს შორის ინსტიტუცური დიალოგის ორგანიზებას ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც შესრულდება ამოცანები 5.1, 5.2. პროგრამის განხორცილების პერიოდში სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის შედეგად შესაძლოა პროგრამას დაემატოს ახალი ამოცანები.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის პროგრამა - წარმოდგენილი დოკუმენტი თანხვედრაშია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის წევრების მომსახურების სტრატეგიის დოკუმენტთან და აკონკრეტებს მის საქმიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ეს პროგრამა იმუშავებს წარმოდგენილი სტრატეგიის სამი მიზნის შესრულებისთვის და აერთიანებს შემდეგ ამოცანებს: 1.1, 1.2, 1.3, 2.1, 3.1, 3.2, 3.3, 6.1, 6.2 და 6.3.

7. სტრატეგიის შესრულების ინდიკატორები

ამ სტრატეგიის შესრულება ხდება მიზნების მიხედვით, ცალკეულ ამოცანათა შესრულების შეფასებების გათვალისწინებით. ამოცანების შესრულების შეფასება ხდება ამ სტრატეგიის მიერ დადგენილი ინდიკატორების მიხედვით. სტრატეგიის მიზნები ითვლება სრულად მიღწეულად თუ ამოცანის ინდიკატორების სულ მცირე 90% და მეტი არის მიღწეული. სტრატეგიის მიზანი მეტწილად მიღწეულია თუ მისი ამოცანის ინდიკატორების 60-90% არის მიღწეული. მიზანი ნაწილობრივაა მიღწეული თუ ამოცანის ინდიკატორების მხოლოდ 50-60% არის შესრულებული. თუ ამოცანის ინდიკატორის 50%-ზე ნაკლებია სახეზე, მაშინ მიზანი ვერ ჩაითვლება მიღწეულად.

მიზანი	**პროგრამა**	**ამოცანა**	**საბაზისო ინდიკატორი**	**შუალედური ინდიკატორი**	**საბოლოო ინდიკატორი**
მუნიციპალიტეტს აქვს ინფორმაცია და ცოდნა იმის შესახებ თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებათა დაცვა ადგილობრივ დონეზე და წარმოდგენა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალურ მმართველობაზე;		ტრეინინგები საკრებულოს წევრებისთვის	0	75	150
		კვლევა საქართველოს მუნიციპალიტეტებში	0	1	1
		სემინარების მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებისთვის	0	65	130
ასოციაციას აქვს შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობა და საექსპერტო რესურსები რათა აქტიური დახმარება გაუწიოს წევრ მუნიციპალიტეტებს		ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება	სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი	ადამიანის უფლებათა ლოკალიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი	ადამიანის უფლებათა ლოკალიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი

ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციის პროცესში.	ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის პროგრამა	ასოციაციის შესაძლებლობების გაზრდა მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკონტაქტო პირების დანიშვნა	0 2	2 საკონტაქტო პირი 64 საკონტაქტო პირები მუნიციპალიტეტებში	2 საკონტაქტო პირი 64 საკონტაქტო პირები მუნიციპალიტეტებში
მუნიციპალიტეტებში შემუშავებულია ანტიდისკრიმინაციული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მუნიციპალური მმართველობის უზრუნველყოფის სტრატეგიის/პოლიტიკის დოკემენტი და ადანერგილია შესრულების მონიტორინგის მექანიზმი		მუშაობა მუნიციპალიტეტებთან პოლიტიკის დოკუმენტებზე ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ჩართვა პოლიტიკის შემუშავების პროცესში ადამინის უფლებთა პოლიტიკის აღსრულების და მონიტორინგის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა ევროპული ქარტიის განმარტებითი ანგარიში ევროპული ქარტიის პოპულარიზაცია ქარტიაზე მიერთების ხელშეწყობა	0 0 0 0 0 0	5 მუნიციპალიტეტი შეერთებულია ქარტიას და მუშაობს პოლიტიკის დოკუმენტზე 5 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი ჩართულია პოლიტიკის შემუშავებაში 5 მუნიციპალიტეტში განმარტებითი ანგარიში 10 რეგიონული შეხვედრა 5 მუნიციპალიტეტი აცხადებს მიერთების სურვილს	10 მუნიციპალტეტი შეერთებულია ქარტიას 5 მუნიციპალიტეტს აქვს პოლიტიკის დოკუმენტი 10 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი ჩართულია პოლიტიკის შემუშავებაში 10 მუნიციპალიტეტში განმარტებითი ანგარიში 10 რეგიონული შეხვედრა 5 მუნიციპალიტეტი მიერთებულია ქარტიას
ადგილობრვი ბიუჯეტების სულ მცირე 10% დაგეგმილია გენდერული ბიუჯეტირების მეთოდით	ასოციაციის გენდერული	მუშაობა მიზნობრივ მუნიციპალიტეტებთან	12	12	35

არანაკლებ 35 მუნიციპალიტეტში	თანასწორობის პროგრამა	გენდერული ბიუჯეტირების მეთოდლოგიური ბაზის შექმნა	0	1 მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო	1 მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო
შექმნილია მუნიციპალიტეტსა და სახალხო დამცველს შორის ეროვნული საკონსულტაციო მექანიზმი	ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალიზაციის ეროვნული საკონსულტაციო მექანიზმის ხელშეწყობის პროგრამა	მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართვა სახალხო დამცველის ანგარიშების განხილვაში	0	10 რეგიონული შეხვედრა	30 რეგიონული შეხვედრა
		საკონსულტაცო ეროვნული მექანიზმის შექმნა	0	4 შეხვედრა	12 შეხვედრა

8. სტრატეგიის მონიტორინგი, შეფასება და განახლება

სტრატეგიის განხორციელებას მონიტორინგს უწევს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოსთან არსებული ადამიანის უფლებათა ლოკალიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც 6 თვეში ერთხელ ისმენს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორისა და შესაბამისი პროგრამების დირექტორებისგან ამ სტრატეგიის პროგრამების მიმდინარეობის ანგარიშს, განიხილავს პროგრამების ქვეშ მომზადებული პროექტების შუალედურ თუ დასკვნით ანგარიშებს. საკოორდინაციო კომიტეტი აღმასრულებელ საბჭოს წარუდგენს სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ყოველწლიურ ანგარიშს.

სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ, შუალედური შეფასება კეთდება სტრატეგიის დოკუმენტის მიღებიდან 2 წლის თავზე, ხოლო დასკვნითი შეფასება ტარდება სტრატეგიის ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 6 თვის თავზე. შუალედური და დასკვნითი შეფასების ჩატარების მიზნით იქმნება შეფასების ჯგუფი, რომელიც კომპლექტდება საკოორიდაციო კომიტეტის 2 წარმომადგენლით, აღმასრულებელი საბჭოს 2 წარმომადგენლით და 3 მოწვეული ექსპერტით. ჯგუფის შექმნისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო. ჯგუფი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს ჯგუფის სხდომებს. ჯგუფი ადამიანის უფლებათა ლოკალიზაციის საკოორდინაციო კომიტეტს წარუდგენს მის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომელიც უნდა ემყარებოდეს ამ დოკუმენტის მე-7 თავს. მეთოდოლოგიის მოწონების შემდეგ ჯგუფი იწყებს შეფასებით საქმიანობას.

შუალედური შეფასების ამოცანაა დაადგინოს მიღწეული შედეგების შესაბამისობა ამ დოკუმენტის მე-7 თავში მოცემული შუალედური შეფასების ინდიკატორებთან, ხოლო დასკვნითი შეფასებისას უნდა დადგინდეს შედეგების შესაბამისობა მე-7 თავში მოცემული საბოლოო შედეგების ინდიკატორებთან. შეფასების პროცესის შედეგად დგება შეფასების ანაგრიში, სადაც

მოცემული უნდა იყოს პროცესის აღწერა, ამოცანის ქვეშ სახეზე მყოფი შედეგების (რეალობის) შესაბამისობა მოცემულ ინდიკატორებთან და გაკეთებული დასკვნის არგუმენტაცია. შეფასების დასკვნით ნაწილში უნდა იყოს მოცემული თითოეული მიზნის შესრულების სტატუსი (სრულად, ნაწილობრივ და მეტწილად) და შემაჯამებელი დასკვნა სტრატეგიის განხორციელების "წარმატებით", "დამაკმაყოფილებლად" თუ "არადამაკმაყოფილებლად" შეფასების შესახებ. წარმატებულად ფასდება სტრატეგიის განხორციელება თუ სტრატეგიის 6 მიზნიდან სულ მცირე 5 შესრულებულია სრულად და ერთი მეტწილად; დამაკმაყოფილებლად ითვლება თუ 6 მიზნიდან 3 შესრულებულია სრულად, სულ მცირე 2 მეტწილად და არაუმეტეს 1-ისა ნაწილობრივ. მიზნების შესრულების სხვა ნებისმიერი კომბინაცია უნდა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებელ შესრულებად. თუ შეფასების ანგარიში სტრატეგიის განხორციელებას განსაზღვრავს არადამაკმაყოფილებლად, მაშინ ანგარიში უნდა შეიცავდეს ხელშემშლელი ფაქტორების ანალიზს და რეკომენდაციებს აღსრულების გაუმჯობესებისთვის.

ამ სტრატეგიის დოკუმენტის განახლება ხდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ დასკვნით შეფასებით ანგარიშში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. სტრატეგიის ამ დოკუმენტის რევიზია შეიძლება მოხდეს განხორციელების პროცესში, შუალედური შეფასების ანგარიშის განხილვის შედეგად ან ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სტრატეგიის რევიზიის წინაპირობა ასევე შეიძლება გახდეს ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთაც პირდაპირი გავლენა აქვთ ამ სტრატეგიის შემუშავებაზე. ასეთ შემთხვევაში საკოორდინაციო კომიტეტი ამზადებს ცვლილებებს ამ დოკუმენტში და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.